

MULTIMODAL NARRATIVE: TEXT, IMAGE, AND MUSIC AS A UNIFIED ARTISTIC SYSTEM IN MULTILINGUAL LITERARY SPACES

მულტიმოდალური ნარატივი: ტექსტი, გამოსახულება, მუსიკა როგორც ერთიანი მხატვრული სისტემა სხვადასხვაენოვან ლიტერატურულ სივრცეში

Nino Pkhakadze

Doctor of Philological Sciences,
Associated Professor at Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Tamar Mepe St #59, 4600, Georgia,
+995555168170, nino.pkhakadze@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-9588-3998>

Maka Susareishvili

Doctor of Philological Sciences,
Assistant Professor at Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Tamar Mepe St #59, 4600, Georgia,
+995577618724, makamakasusareishvili@yahoo.com
<https://orcid.org/0009-0006-7920-6352>

Absract. The article “Multimodal Artistic Text as a Synthesis of Textual, Visual, and Musical Elements: An Analysis of Works by Writers in Different Languages“ explores multimodal artistic texts through the works of writers in different languages, specifically analyzing Zurab Karumidze's "Dagny, or a Love Feast" and Orhan Pamuk's "Istanbul: Memories of a City". Analysis of these authors' works reveals the diverse characteristics of multimodal fiction, notably textual-visual synergy and soundscapes. The seamless integration of text and visuals is at the core of multimodal fiction. The inclusion of rhythmic patterns and sound elements adds an auditory dimension to the multimodal artistic text.

Orhan Pamuk's novel serves as a compelling example of a hybrid text that employs visual elements with notable intensity. The integration of photographic images within the narrative framework contributes to the enrichment of the plot and the construction of complex emotional dimensions. Pamuk crafts a multidimensional portrait of both the city and himself, where photographs, poetic descriptions, and a musical atmosphere converge to produce a representation of Istanbul that is simultaneously realistic and ideologically nuanced. In this portrayal, memory, time, and identity are intricately interwoven.

Zurab Karumidze's work is similarly multifaceted and marked by a pronounced use of multimodal elements. Music assumes a central aesthetic function: it is shared across both real and imaginary realms, thus serving as a unifying force between them.

The visual dimension is further enhanced through the verbal rendering of painting—its functional role, and the ideological alignment between the selected artworks and the broader thematic concerns of the text.

Keywords: Multimodality, Textual, Visual, Musical Elements.

ნინო ფხაკაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
 ასოცირებული პროფესორი,
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
 ქ. ქუთაისი, თამარ მეფის #59, 4600, საქართველო,
 +995555168170, nino.pkhakadze@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-9588-3998>

მაკა სუსარიეშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,
 ასისტენტ პროფესორი,
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
 ქ. ქუთაისი, თამარ მეფის #59, 4600, საქართველო,
 +995577618724, makamakasusareishvili@yahoo.com
<https://orcid.org/0009-0006-7920-6352>

აბსტრაქტი. მულტიმოდალობა ეფუძნება სხვადასხვა რეჟიმის ინტერაქტიულ კომბინაციას. სტატიაში თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით განხილულია მულტიმოდალური მხატვრული ტექსტი სხვადასხვაენოვან მწერალთა ნაწარმოებების მაგალითზე. გაანალიზებულია ზურაბ ქარუმიძის „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი“, ორჰან ფამუქის „სტამბოლი – მოგონებები და ქალაქი“. ანალიზმა აჩვენა, რომ მულტიმოდალური მხატვრული ტექსტის მახასიათებლები მრავალფეროვანია. მათ შორის მნიშვნელოვანია: ტექსტურ-ვიზუალური სინერგია, ხმოვანი ლანდშაფტი.

ორჰან ფამუქის რომანი არის ნათელი მაგალითი შერეული ტექსტისა, რომელშიც ინტენსიურად გამოიყენება ვიზუალური საშუალებები. ტექსტურ კონტექსტში გამოყენებული ფოტოგამოსახულებები ხელს უწყობს სიუჟეტის შევსებას, ემოციური ღრმა შრეების წარმოქმნას. ავტორი ქმნის მრავალგანზომილებიან პორტრეტს ქალაქისა და საკუთარი თავისა. ფოტოების გამოყენება, პოეტური აღწერები და მუსიკალური ატმოსფერო ქმნის სტამბოლის რეალისტურ, მაგრამ ამავდროულად, იდეურ პორტრეტს, სადაც მეხსიერება, დრო და იდენტობა გადაჯაჭვულია.

ზურაბ ქარუმიძის ნაწარმოები მრავალპლანური და მულტიმოდალური ელემენტების სიმრავლით ხასიათდება. მუსიკას აქვს ძირითადი მხატვრული ფუნქცია: იგი რეალურ და ირეალურ სამყაროებს აერთიანებს.

ვიზუალურ ეფექტს ქმნის მხატვრობის სიტყვიერი მატერიალიზაცია, მისი ფუნქციური დატვირთვა, შერჩეული მხატვრობის ნიმუშებისა და მხატვრების იდეური თავსებადობა.

მულტიმოდალური სტრატეგია გვევლინება მხატვრული ენის დომინანტურ პრინციპად. მულტიმოდალური ელემენტები აძლიერებს თხრობის ემოციურ რეზონანსსა და სიტუაციურ კონტექსტს.

საკვანძო სიტყვები: მულტიმოდალობა, ტექსტუალური, ვიზუალური, მუსიკალური ელემენტები.

შესავალი. თანამედროვე ტექნოლოგიურმა პროგრესმა ფუნდამენტურად შეცვალა კომუნიკაციის ფორმები, რის შედეგადაც მედიათაშორისი ურთიერთქმედება და ინტეგრაცია გარდაუვალი გახდა. აღნიშნულმა ტრანსფორმაციამ გავლენა მოახდინა ლიტერატურულ სივრცეზეც, სადაც მულტიმოდალობა — როგორც შერეული ტექსტების შესწავლის მეთოდოლოგია — ეფუძნება სხვადასხვა სემიოტიკური რეჟიმის ინტერაქტიულ კომბინაციას.

ბოლო წლებში მულტიმოდალობა, როგორც თეორიული კონცეფცია, მნიშვნელოვანი კვლევის საგნად იქცა. განტერ კრესისა და თეო ვან ლეუვენის (1996) ფუნდამენტურმა ნაშრომმა, რომელშიც მულტიმოდალური ტექსტი განისაზღვრა როგორც „ნებისმიერი ტექსტი, რომლის მნიშვნელობები რეალიზდება ერთზე მეტი სემიოტიკური რეჟიმით“, საფუძველი ჩაუყარა ამ მიმართულებით შემდგომ კვლევებს. ალისონ გიბონსმა (2008) გააღრმავა მულტიმოდალობის თეორიული ჩარჩო, ხოლო ბოლდრისა და თიბოს (2006) ნაშრომებმა იგი წარმოაჩინა როგორც მრავალმიზნობრივი სემიოტიკური ინსტრუმენტების კომპლექსი. თანამედროვე ინტერდისციპლინურ თეორიულ დისკურსში იზრდება ინტერესი მულტიმოდალური და ინტერმედიალური მიდგომების მიმართ, თუმცა ამ კონცეფციების კონკრეტულ ლიტერატურულ ტექსტებზე გავრცელება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

მიზანი: მულტიმოდალური სტრატეგიის, როგორც თანამედროვე ლიტერატურული მეთოდის, ანალიზი და მისი გამოვლინებების შესწავლა კონკრეტული ნაწარმოებების მაგალითზე.

მეთოდები. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კომპარატივისტული, სემიოტიკური, ტიპოლოგიური და ჰერმენევტიკული ანალიზის მეთოდები.

შედეგები. კვლევის შედეგები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ორჰან ფამუქის რომანი „სტამბოლი – მოგონებები და ქალაქი“ და ზურაბ ქარუმიძის რომანი „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი“ გაჯერებულია მულტიმოდალური მახასიათებლებით. ორჰან ფამუქის რომანში მულტიმოდალობა რეალიზებულია ტექსტისა და ვიზუალური ელემენტების (ფოტოსურათების) ინტეგრაციით. ავტორი რომანში 430-ზე მეტ ფოტოს იყენებს, რომლებიც არა მხოლოდ ილუსტრაციების როლს ასრულებს, არამედ ტექსტთან ერთად ქმნის ერთიან სემანტიკურ მთლიანობას. ფოტოგამოსახულებები ხელს უწყობს სიუჟეტის გამდიდრებასა და ემოციური შრეების გაღრმავებას. ზურაბ ქარუმიძის „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი“ წარმოადგენს უფრო კომპლექსურ მულტიმოდალურ სტრუქტურას. ავტორი აქტიურად იყენებს სხვადასხვა სემიოტიკურ რესურსს. ესენია: ვიზუალური აღწერები (მხატვრობა, ფერწერული ნამუშევრები, არქიტექტურული დეტალები), მუსიკის როლის ინტენსიური აქცენტირება და გრაფიკულ-ტიპოგრაფიული ექსპერიმენტები. რომანი არღვევს ტრადიციულ ლიტერატურულ ნორმებს და ფორმირდება სხვადასხვა დისციპლინიდან აღებული ვიზუალური ინსტრუმენტების მეშვეობით. ლინგვისტურ დონეზე მულტიმოდალობის გამოხატულებებია: სპეციალური გამოგონილი სიტყვები (ასკოკინი, კუნდაბუფერი), სიმბოლოების გამოყენება (ლომისა და ვეფხვის სიმბოლოური დაპირისპირება), ციტირება სხვადასხვა წყაროდან და პროზაულ-პოეტური მეტყველების კომბინაცია. ორივე ტექსტში მნიშვნელოვანია ხმოვანი ლანდშაფტის შექმნის ტენდენცია. ქარუმიძესთან მუსიკას აქვს საკრალური საზრისის მაჩვენებლის ფუნქცია (ბახის „იოანეს პასიონი“), ფამუქთან კი ქალაქის ხმები ქმნის სტამბოლის განსაკუთრებულ მელანქოლიურ ატმოსფეროს. მულტიმოდალური სტრატეგია რომანებში გვევლინება მხატვრული ენის დომინანტურ პრინციპად. ტრადიციული მონომოდალური ლიტერატურისგან განსხვავებით, იგი მკითხველს

სთავაზობს მრავალშრიან ხელოვნების ნიმუშს და მნიშვნელოვნად აფართოებს ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

მსჯელობა. მულტიმოდალური სტრატეგია უნივერსალურია. იგი რეალიზდება სხვადასხვა ქრონოლოგიური მონაკვეთის, ლიტერატურული მიმართულების, განსხვავებული ეროვნული კუთვნილების მქონე მწერალთა ნაწარმოებებში.

ბოლო წლებში ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა კომუნიკაციის ყველა სფერო, რის შედეგადაც მედიების ურთიერთქმედება და მათი ერთიანობა გარდაუვალი გახდა. თანამედროვე ეპოქა კაცობრიობას სთავაზობს მულტიმოდალური კომუნიკაციის ფორმებს, რომლებიც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

მედიის კონვერგენცია აერთიანებს ტექსტს, აუდიოსა და ვიზუალს ერთ ჰიბრიდულ სივრცეში, რაც კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების ინოვაციურ ფორმებს აყალიბებს.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ლიტერატურული, პოეტური და მხატვრული გამოხატვის ფორმებიც იცვლება. ბოლო წლების ახალმა ტექნოლოგიებმა წარმოშვა მულტიმოდალური ლიტერატურული პროდუქტები, რომლებიც არღვევენ ტრადიციული მონომოდალური ლიტერატურის ჩარჩოებს.

თანამედროვე ინტერდისციპლინურ თეორიულ კვლევებში სულ უფრო იზრდება ინტერესი მულტიმოდალური და ინტერმედიალური კონცეფციისადმი (განტერ კრესი, თეო ვან ლეუვენი, ალისონ გიბონსი...). კონკრეტული ნიმუშების შესწავლა ამ თვალსაზრისით აქტუალურია.

მულტიმოდალობა არის შერეული ტექსტების შესწავლის სფერო, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა რეჟიმის ინტერაქტიულ კომბინაციას. ალისონ გიბონსი თავის ნაშრომში (2008) აღნიშნავს, რომ განტერ კრესმა და თეო ვან ლეუვენმა მულტიმოდალობის კონცეფცია აკადემიური სამყაროს ყურამდე მიიტანეს. ისინი მულტიმოდალურად მიიჩნევენ „ნებისმიერ ტექსტს, რომლის მნიშვნელობები რეალიზდება ერთზე მეტი სემიოტიკური რეჟიმით“ (Kress & Leeuwen, 1996: 183).

ცნობილი ლინგვისტის, მულტიმოდალური დისკურსის ანალიზის თეორიის შემქმნელის განტერ კრესის (2010) მიხედვით, „მულტიმოდალობა არის თეორია, რომელიც შეიწავლის იმ განსხვავებულ მეთოდებსა და ხერხებს, რომლებსაც ადამიანები იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციისას საკუთარი აზრის გადმოსაცემად. რაც შეეხება მეთოდს, ის ზოგადად განისაზღვრება, როგორც კომუნიკაციის საშუალება, რომელსაც კონკრეტული კულტურა აღიარებს“. ბოლდრისა და თიბოს (2006) მიხედვით: „ტერმინი **მულტიმოდალობა** მოიცავს პერსპექტივების მრავალფეროვნებას, აზროვნების გზებსა და შესაძლო მიდგომებს. ეს არ არის ერთი პრინციპი ან მიდგომა. ეს არის მრავალმიზნობრივი ინსტრუმენტების ნაკრები და არა ერთი იარაღი ერთი მიზნისთვის.“

სტატიაში თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით განხილულია მულტიმოდალური მხატვრული ტექსტი სხვადასხვაენოვან მწერალთა ნაწარმოებების მაგალითზე. გაანალიზებულია ზურაბ ქარუმიძის „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი“, ორჰან ფამუქის „სტამბოლი – მოგონებები და ქალაქი“.

ზემოაღნიშნულ ნაწარმოებთა ანალიზმა აჩვენა, რომ მულტიმოდალური მხატვრული ტექსტის მახასიათებლები მრავალფეროვანია. მათ შორის მნიშვნელოვანია: ტექსტურ-ვიზუალური სინერგია, ხმოვანი ლანდშაფტი.

მულტიმოდალური მხატვრული ტექსტის ბირთვი არის ტექსტისა და ვიზუალის უწყვეტი ინტეგრაცია. სიტყვები ერწყმის გამოსახულებას, რათა უფრო ნათელი და ნიუანსური სურათი დახატოს, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, ჩაუღრმავდეს თხრობას როგორც ენობრივი, ასევე ვიზუალური ნიშნების საშუალებით. ეს კავშირი

აძლიერებს თხრობის სიღრმეს, იწვევს მკითხველს, ჩაეფლოს სამყაროში, სადაც სიტყვები და სურათები ჰარმონიულად თანაარსებობს.


ორჰან ფამუქმა 2003 წელს გამოსცა წიგნი „სტამბოლი - მოგონებები და ქალაქი“, რომელიც 200 ფოტოსურათს შეიცავდა. მოგვიანებით, 2015 წელს, მან კიდევ 230 ფოტო დაამატა, გაზარდა წიგნის მოცულობა და ხელმეორედ გამოაქვეყნა. ამგვარად, ფოტოსურათებისა და ტექსტის ურთიერთკავშირის გაძლიერების შედეგად, ეს წიგნი გადაიქცა ტექსტზე დაფუძნებული წიგნიდან ვიზუალურ წიგნად.

ტექსტი შექმნილია მულტიმოდალური ელემენტების გამოყენებით, იგი არის ნათელი მაგალითი შერეული ტექსტისა, რომელშიც ინტენსიურად გამოიყენება ვიზუალური საშუალებები. ტექსტურ კონტექსტში გამოყენებული ფოტოგამოსახულებები ხელს უწყობს სიუჟეტის შევსებას, ემოციური ღრმა შრეების წარმოქმნას. ტექსტურა და ვიზუალური საშუალებები ქმნის ერთ „მთლიანობას“. სიუჟეტში, სხვადასხვა ვიზუალური ინსტრუმენტი ერთ მთლიანობად არის კოლაჟირებული. ნაწარმოებში ბევრ ფოტოსა და მის თანმხლებ ტექსტს ყოველთვის არ აქვს დროითი და სივრცითი ერთიანობა.

ავტორი ქმნის მრავალგანზომილებიან პორტრეტს ქალაქისა და საკუთარი თავისა. ეს მიდგომა არა მხოლოდ ამდიდრებს მკითხველის გამოცდილებას, არამედ ასახავს თავად სტამბოლის კომპლექსურ, მრავალფეროვან ბუნებას. ფამუქის ნაწარმოები გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მულტიმოდალურობა გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ექსპერიმენტული ლიტერატურის, არამედ მემუარული და ისტორიული ნარატივის კონტექსტშიც.

რომანში პირველ ფოტოზე გამოსახულია პატარა ორჰანი, რომელსაც შემფოთებული გამომეტყველება აქვს, ფოტო პირდაპირ კავშირშია ტექსტში აღწერილ განცდებთან.

ფოტო ქმნის მყისიერ ემოციურ კავშირს მკითხველთან. იგი რეალიზდება როგორც მეხსიერებისა და გრძნობების მაჩვენებელი, რაც ტექსტში დეტალურად არის წარმოჩენილი. ტექსტში აღწერილი ეპიზოდი (როცა ფამუქი დეიდის სახლშია გაგზავნილი და შინ დაბრუნება სურს) აძლიერებს ფოტოს ემოციურ დატვირთვას. ბავშვის განცდები, რომლებიც სავსეა მონატრების, სტრესისა და დაკარგვის შიშით, ნათლად ასახულ მის გამომეტყველებაში. ფოტო, რომელიც ავტორის მიერ შექმნილ ტექსტშია ჩართული, არა მხოლოდ ვიზუალურ ელემენტს წარმოადგენს, არამედ კონტექსტს, რომელიც ტექსტის მნიშვნელობას ზრდის. ფოტოს საშუალებით მკითხველი უფრო ღრმად გრძნობს ავტორის პერსონალურ ისტორიას:



(Pamuk, 2003: 10)

ორჰან ფამუქის „სტამბოლი - მოგონებები და ქალაქი“ ტექსტურ პლასტებში მოიცავს ავტობიოგრაფიულ ელემენტებს, ისტორიებსა და მემუარებს, რომლებიც შექმნილია ისეთი სტილით, რომელიც მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს თავად ქალაქის ხმა ესმის. ტექსტური პლასტები მოიცავს ლიტერატურულ რეფლექსიებს ქალაქის კულტურაზე, ისტორიასა და მის სოციალურ დინამიკაზე. ტექსტში აღწერილი ყოველი

მცირე დეტალი, იქნება ეს ქალაქის ქუჩები, არქიტექტურა, თუ ხალხის ყოველდღიური ცხოვრება, ქმნის გრძნობას, რომ სტამბოლი არა მარტო ლიტერატურული სიმბოლოა, არამედ ცოცხალი, მფეთქავი ორგანიზმი. ფამუქისთვის სტამბოლი, როგორც ქალაქი, მელანქოლიის, ნოსტალგიისა და დაკარგვის სივრცეა. მასში ასახულია ოსმალური იმპერიის წარსული დიდება და თანამედროვეობის უსასრულო ტრანსფორმაცია. სტამბოლის ლანდშაფტი, მისი ძველი არქიტექტურა, ბოსფორი და ისტორიული უბნები მკვეთრად არის აღწერილი. ეს ქალაქი ტექსტში წარმოდგენილია როგორც არა მხოლოდ სივრცე, არამედ ემოციური და მენტალური ლანდშაფტი, რომელიც განსაზღვრავს ავტორის შიდა სამყაროს.

რომანის ერთ-ერთ თავში „ფაშების დანგრეული სასახლეების სევდა“ გამოყენებულ ფოტოებზე ნაჩვენებია სტამბოლის სევდიანი თავგადასავალი, მისი უწყვეტი გარდაქმნის პროცესი ოსმალეთის იმპერიიდან მოყოლებული. ფოტოები, რომლებიც ცეცხლით დაზიანებულ სასახლეებს ასახავს, გვაჩვენებს, რომ ქალაქი კარგავს თავის ძველ მულტიკულტურულ და არქიტექტურულ სიდიადეს, რაც გავლენას ახდენს არ მხოლოდ ქალაქზე, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის იდენტობაზეც. ფერფლადქცეული სასახლეების ნაცვლად ქალაქის შუაგულში ჩნდება მრავალბინიანი შენობები. ფოტოებზე ნაჩვენებია ურბანიზაციის პროცესი რეალურ გარემოში, ტექსტი კი ამ პროცესის ისტორიულ და სოციალურ კონტექსტს იძლევა. აღნიშნული ფოტოები და ტექსტი ერთმანეთს ორგანულად ავსებს და სრულყოფილ კონტექსტს ქმნის.



ტექსტისა და ვიზუალის ცოცხალი კავშირი ახმოვანებს სურათს და ქმნის ხმოვანი ატმოსფეროს განცდას.

ფოტოების გამოყენება, პოეტური აღწერები და მუსიკალური ატმოსფერო ქმნის სტამბოლის რეალისტურ, მაგრამ ამავდროულად, იდეურ პორტრეტს, სადაც მეხსიერება, დრო და იდენტობა გადაჯაჭვულია.

ზურაბ ქარუმიძის რომანი „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი“ არის თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც გამოქვეყნდა 2011 წელს. რომანი ეძღვნება ნორვეგიელი პოეტისა და ფემინისტის, დაგნი იუელის, ცხოვრებას და მის კავშირებს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპულ ბოჰემურ წრეებთან.

ზურაბ ქარუმიძის „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი“, ძირითადად, ინტერმედიალური ტექსტია, თუმცა მასში მულტიმოდლობის ელემენტებიც მოიპოვება, რადგან ავტორი აქტიურად იყენებს სხვადასხვა ტიპის სემიოტიკურ რესურსებს ტექსტის შინაარსისა და სტრუქტურის გასამდიდრებლად, ასეთია: 1. ვიზუალური აღწერები: ტექსტში სხვადასხვა ვიზუალური ელემენტი, როგორცაა მხატვრობა, ფერწერული ნამუშევრები და არქიტექტურული დეტალები მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს აღწერები ქმნიან მკითხველის

გონებაში ვიზუალურ გამოსახულებებს, რომლებიც ტექსტის სემანტიკას ავსებენ. როცა ავტორი აღწერს სცენებს ან პერსონაჟებს ვიზუალური ხელოვნების ტერმინებით, ეს ქმნის მულტიმოდალურ აღქმას, რომელიც ტექსტურ (ვერბალურ) და ვიზუალურ ელემენტებს აერთიანებს; 2. მუსიკის როლი: რომანში ხშირად მოიხსენიება მუსიკა და მუსიკალური ნაწარმოებები. ტექსტი აღწერს მუსიკას, მის ეფექტს პერსონაჟებზე და ზოგადად ნარატივზე. მკითხველის გონებაში მუსიკის აღწერითა და მისი წარმოსახვითი ეფექტით ავტორი მულტიმოდალურ გამოცდილებას ქმნის, სადაც ვერბალური ტექსტი უკავშირდება მკითხველის აღქმას; 3. გრაფიკული და ტიპოგრაფიული ექსპერიმენტები: ტექსტში არსებობს სტრუქტურული თამაშები, სადაც გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის შრიფტები, განლაგება ან ვიზუალური სტრუქტურები, რაც ქმნის მულტიმოდალურ ეფექტს, რადგან ვიზუალური ასპექტი ავსებს ვერბალურ ინფორმაციას.

რომანის მრავალშრიანი მიდგომა არა მხოლოდ ამდიდრებს ნაწარმოების ესთეტიკურ ღირებულებას, არამედ ასახავს თანამედროვე სამყაროს კომპლექსურობასა და ინფორმაციის აღქმის მრავალფეროვან გზებს. ზურაბ ქარუმიძის ექსპერიმენტული სტილი და ინოვაციური ნარატიული ტექნიკები წარმოაჩენს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესაძლებლობებს და მის ადგილს მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში.

წიგნში ენობრივ დონეზე შერწყმულია სხვადასხვა ზღაპრული თუ რელიგიური წყაროებიდან აღებული ელემენტები, რაც მეტაფიქციური თამაშით და ინტერტექსტუალური ნიშნებით მიმდინარეობს. მაგალითად, თხრობა რომანში პარადიული სტილით არის წარმოდგენილი და ინტერტექსტუალურ დონეზე გადაკეთებულია. თემა და სურათი ფართოვდება (ან ზოგჯერ ვიწროვება), რაც ქმნის მითითებასა და შინაარსობრივ განზომილებას.

რომანი „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი“ არღვევს ტრადიციულ ლიტერატურულ ნორმებს. რომანი სტრუქტურირდება სხვადასხვა დისციპლინიდან აღებული ვიზუალური ინსტრუმენტების დახმარებით. ხელახლა აგებულ ისტორიაში, ეს ტრადიციული ლიტერატურული კონვენციები ზოგჯერ თამაშის საგნად იქცევა, ზოგჯერ კი ისინი გაზვიადებულია და შეცვლილი. ეს მიდგომები ხორციელდება ნარატივის მრავალი ლინგვისტური, ვიზუალური და ტიპოგრაფიული ფორმის მეშვეობით. ქარუმიძე ნარატივში გამოყენებული მულტიმოდალური ელემენტების ჩართვით ქმნის ექსპერიმენტულ, განსხვავებულ რომანს.

მულტიმოდალური მიდგომით შექმნილ ამბავში სხვადასხვა რეჟიმი ჰარმონიულად ურთიერთობს ერთმანეთთან. ლინგვისტური ელემენტები ინტერტექსტუალურ კონტექსტში სხვადასხვა ქვეტექსტს ეხება და მკითხველთან ინტერაქტიულ კომუნიკაციაში შედის.

ტექსტურ დონეზე უნდა განვიხილოთ ლინგვისტური მექანიზმების იდეასთან ადაპტირება: პიროვნებებთან იდენტიფიცირებული ლექსიკა, სპეციალური გამოგონილი სიტყვები, სინტაქსი - პოსტმოდერნული დახლეჩილი წინადადებები, პრაგმატიკული თვალსაზრისით სიტყვების კულტურული დატვირთვა, სიტყვა-მეტაფორები და სიტყვა სიმბოლოები...

ვერბალიზების შესანიშნავი იდეურ-მხატვრული ხერხია სიტყვიერი ნოვაციები, სიტყვაქმნადობა, ციტირება, სპეციალური ლექსიკის გამოყენება: ამგვარ ლინგვისტურ თამაშში არსებული და გამოგონილი ერთმანეთს ერწყმის.

სპეციალური გამოგონილი სიტყვებია: **ასკოკინი, კუნდაბუფერი, აკმე, ანულისი, ოკიდანოხი, ეთეროკრილნო, ლინგვო-ქრონოტოპის აქსელატორი.** ავტორი უკვე არსებული ტერმინების ინტერპრეტაციასაც მიმართავს (მაგალითად, „პარდიმემი“). ზურაბ ქარუმიძე ხშირად იყენებს უცხოურ ლექსიკასა და ფრაზებს, ზოგჯერ კი არარსებულ, უშინაარსო ტექსტებსაც ქმნის, რათა გადმოსცეს ენობრივი ქაოსი.

ტექსტური შრის ძლიერი ნარატიული მხარეა სიმბოლოების გამოყენება, ანიმალისტური სიმბოლიკა სამყაროსა და ადამიანების აღსაწერად.

დაგნი ანიმალისტური სიმბოლიკით ლომისა და ვეფხვის შეპირისპირებაა: „ლომი, როგორც ოქროსფერი ქათიბის მქონე კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, იდენტურობას განასახიერებს; ფორეჯებიანი ვეფხვი კი – განსახვავებულობას; ლომი გონიერების, მორალური ავტორიტეტის, სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისა და კანონის პერსონიფიკაციაა; ვეფხვი კი სიყვარულის, იმ ხალასი ყოვლისმომცველი და ყოვლადი სიყვარულის, დროსა და სივრცეში საზღვრები რომ არი იცის (ქარუმიძე, 2020: 17). ნაწარმოებში ლეომემური და პარდიმემული „მემების“ შეპირისპირებით ადამიანთა ღირებულებებია გამოხატული.

სიმბოლური სახეების მდიდარი ლინგვისტური გარსი განუმეორებელ წარმოსახვით ვიზუალურ ეფექტს ქმნის და აფართოებს ვერბალურ პლანს.

ავტორი რომანში სატირულ-იუმორისტულ ჭრილში წარმოგვიდგენს კამოს მოღვაწეობას. იგი კამოს მხატვრული სახის შექმნისას არ ერიდება სკაზრეზულ გამოთქმებს: **ქაქი, დედიჩემის მივირთვი** .

ციტირება ავტორის მიზანიმართული მხატვრული სტრატეგიაა. მას ციტატები მოჰყავს სხვადასხვა ტექსტიდან. ეს ტექსტებია: სახარება, „ვეფხისტყაოსანი“, „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, ვაჟა-ფშაველას, თავად დაგნი იუელის, სტახ პშიბიშვესკის და ალბერტ შვაიცერის შემოქმედება, ასევე პეტრე იბერის ნაშრომი, ლუი ქეროლის ლექსი, მითოლოგია, ოსკარ უაილდის „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა და თავად ზურაბ ქარუმიძის „ღვინომუქი ზღვა“. რომანში ასევე გვხვდება ცრუ ციტირებებიც.

თხრობის პოსტმოდერნული მანერაა პროზაული და პოეტური მეტყველების კომბინაცია, საზღვრების შლა, ქრონოლოგიური შეუთავსებლობა, მესიანისტური იდეების ინტერპრეტაცია ინტერტექსტუალობის დონეზე.

მულტიმოდალობა სხვადასხვაგვარად არის გამოხატული ნაწარმოებებში: პირდაპირი და წარმოსახვითი ფორმებით. შესაძლებელია ზედაპირზე ჩანდეს სხვადასხვა მედიის თანაარსებობა ან ეფექტი წარმოსახვით შეიქმნეს. შეიძლება ითქვას, ზურაბ ქარუმიძესთან აშკარაა პირდაპირი მულტიმოდალობა ტიპოგრაფიულ დონეზე. ცრუ ციტირებები დახრილი შრიფტით არის გადმოცემული:

ყრმა სტალინი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის კაბადონს აკვირდება და შინაგან ზნეობრივ კანონებს იდგენს... (ქარუმიძე, 2020: 107);

-როს მეამბორა თავისი ბაგეების ამბორით, უჩინარ მყო (ქარუმიძე, 2020: 121);

-როგორ გამშვენდნენ შენი ფეხები შენს ხამლებში, ზეპურო ასულო! თეძოთა სიმრავლე მანიაკს გიგავს, შექმნილს ხელოვნის ხელით.. ორი მუძუ შენი ორი თიკანი, მარჩვიბნი ნიამორისა.... (ქარუმიძე, 2020: 121).

ვიზუალური და მუსიკალური მულტიმოდალობა წარმოსახვითია. ნაწარმოებში არის წარმოსახვითი მუსიკა და ვიზუალი როგორც სრულფასოვანი კოდები და არა მხოლოდ თხრობა მათზე. ისინი ყველა ძირითადი მახასიათებლით არის ჩართული: ემოციური ზეგავლენა, განწმენდის ფუნქცია, კათარზისი, ხმოვანი ეფექტი, მისია - ღვთიურობასთან შერწყმა (მუსიკის დეტალური აღწერით და შერჩეული მუსიკალური ნაწარმოების ტექსტის იდეასთან თავსებადობით).

რომანში სხვადასხვა ელემენტების ჰარმონია შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც რითმა. რომანის თავები ორგანიზებულია მუსიკალური კომპოზიციის მსგავსად (პრელუდია, ფუგა, კოდა და ა.შ.). ეს სტრუქტურა არღვევს ტრადიციულ წრფივ თხრობას და ქმნის რიტმულ და მელოდიურ ნარატივს.

ბახის „ვნებანი იოანეს მიხედვით“ ემსახურება „მულტისემანტიკურობას“. მუსიკა ხაზს უსვამს იმას, რომ ზეციური სიყვარულის დანაწილება ერთადერთი გზაა მომავალი საშინელების თავიდან ასაცილებლად. ხმოვანი ლანდშაფტი იქმნება: ბახის „იოანეს

პასიონით“, ბუნების ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნით“, გურჯიევის ცეკვით/რიტმული როკვით. ეს ზეციური კავშირი უნდა აღსრულდეს დაგნის ალაპით, ორივე საწყისის მქონე ენერგიით, რომელიც მისტიკური განწყობით ეზიარება ღვთიურობას, რაც სამწუხაროდ, არ ხდება ბოროტებით ძლევის გამო.

მუსიკა საკრალური საზრისის მაჩვენებელია. მუსიკის საშუალებით სრული გონებრივი სიცხადიდან სიყვარული უნდა გადმოიღვინდეს: „შენ იმ მუსიკიდან სრულ გონებრივ სიცხადეში ის სიყვარული უნდა გამოხადო, რომელიც პირველადი დაპირისპირების საკრალური საზრისია და იმ მოძრაობათა ენაზე თარგმნო, რომელიც თერმოდინამიკის და ინფორმაციის სფეროებს გადაივლის“ (ქარუმიძე, 2020: 69).

მუსიკას აქვს ძირითადი მხატვრული ფუნქცია: რეალური და ირეალური სამყარო ერთნაირ მუსიკას ისმენს, რაც მათ აერთიანებს.

ვიზუალურ ეფექტს ქმნის მხატვრობის სიტყვიერი მატერიალიზაცია, მისი ფუნქციური დატვირთვა, შერჩეული მხატვრობის ნიმუშებისა და მხატვრების იდეური თავსებადობა. საღვადოდ დალის ნახატი „გეოპოლიტიკური ყრმა უყურებს ახალი ადამიანის დაბადებას“ რომანში ასეა აღწერილი: „კვერცხის სახით წარმოდგენილი დედამიწიდან კოლოსი იბადება: იქვე დგანან ამის მაცქერალი ყრმა და ქალი. კოლოსი ჩრდილოეთ ამერიკასთან ცდილობს „გამოჩეკას“ და მარცხენა ხელით მძიმედ ეყრდნობა ბრიტანეთის კუნძულებს: „გეოპოლიტიკური ყრმის დედა“ კი ერთი რეგიონისკენ იშვერს ხელს და მის მნიშვნელობას უსვამს ხაზს“ (ქარუმიძე, 2020: 26).

ავტორი ედგარ მუნკის „მადონას“ პორტრეტში დაგნის ღამურას ადარებს. ღამურა ერთ მხრივ, უბრალოდ მღრღნელი და მეორე მხრივ, ფრთოსან სილაღეს შორის გაორებული არსებაა დაგნივით. ალაპის საკრალური მისტიკით დაგნის ვნებიანობა უნდა ტრანსფორმირდეს და აღზევდეს მისი წმინდანური ბუნება, სიყვარული.

მულტიმოდალური სტრატეგია გვევლინება მხატვრული ენის დომინანტურ პრინციპად. მულტიმოდალური ელემენტები აძლიერებს თხრობის ემოციურ რეზონანსსა და სიტუაციურ კონტექსტს.

ტრადიციული მხატვრული ტექსტისაგან განსხვავებით, რომელიც ნარატივის გადმოსაცემად მხოლოდ სიტყვებს ეყრდნობა, მულტიმოდალური მხატვრული დისკურსი აერთიანებს ვიზუალურ ელემენტებს, ილუსტრაციებსა და სიმბოლურ წარმოდგენებს, აქცევს ტექსტს მრავალგანზომილებიან ხელოვნების ნაწარმოებად.

ილუსტრირებული ნარატივი ემსახურება თხრობის ვიზუალურ გაფართოებას, რაც მკითხველს დამატებითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს. სურათების ტექსტთან შერწყმით, მულტიმოდალური მხატვრული ტექსტი სცილდება ჩვეულებრივი მოთხრობის საზღვრებს და ხმოვან ლანდშაფტთან ერთად იწვევს მკითხველებს ჩაერთოს თხრობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ქარუმიძე, ზ. (2020). *დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

Baldry, A., & Thibault, P. A (2006). *Multimodal Toolkit and Coursebook*. London: “Oakville”.

Gibbons, A. (2008). Multimodal Literature “Moves” Us: Dynamic Movement and Embodiment in VAS: An Opera in Flatland. *HERMES Journal of Language and Communication*. N41. <https://tidsskrift.dk/her/issue/view/2852/41/107-124>

Kress, G. (2010). *Multimodality A Social Semiotic Approach to Contemporary Communication*. London: “Routledge “.

Kress, G. Leeuwen, T. (1996). *Reading Images the Grammar of Visual Design*. London and New York: “Routledge “.

Pamuk, O. (2003). *Istanbul Hatiralar ve Şehir*. Istanbul: “Yapı kredi Yayınları”.

Rippl, G. (2015). *Handbook of Intermediality: Literature –Image – Sound – Music*. De Gruyter“.

REFERENCES

- karumidze, z. (2020). *dagni anu siqvarulis aghap'i [Dagnu, or Love Feast]*. Tbilisi: Publishing House „Intelekti“.
- Baldry, A., & Thibault, P. A (2006). *Multimodal Toolkit and Coursebook*. London: “Oakville”.
- Gibbons, A. (2008). Multimodal Literature “Moves” Us: Dynamic Movement and Embodiment in VAS: An Opera in Flatland. *HERMES Journal of Language and Communication*. N41. <https://tidsskrift.dk/her/issue/view/2852/41/107-124>
- Kress, G. (2010). *Multimodality A Social Semiotic Approach to Contemporary Communication*. London: “Routledge “.
- Kress, G., & Leeuwen, T. (1996). *Reading Images the Grammar of Visual Design*. London and New York: “Routledge “.
- Pamuk, O. (2003). *Istanbul Hatiralar ve Şehir*. Istanbul: “Yapı kredi Yayınları”.
- Rippl, G. (2015). *Handbook of Intermediality: Literature –Image – Sound – Music*. De Gruyter“.